

შპს ელისი-2015

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შპს ელისი-2015

ფინანსური ანგარიშგებას ანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ნაწილი	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4. ფულადი სახსრები.	15
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	16
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.	16
7. ძირითადი საშუალებები.	16
8. არამატერიალური აქტივები	17
9. სავაჭრო ვალდებულებები.	17
10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18
11. ამონაგები	18
12. . რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება	18
13. . სხვა შემოსავალი	18
14. . კომერციული დანახარჯები	19
15. ადმინისტრაციული ხარჯები	19
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19
17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	19

შპს ელისი-2015

ფინანსური ანგარიშგებას ანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2019	01.01.2019	01.01.2017
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახრები	4	406,477	110,894	728
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	796,428	1,641,448	187,365
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	331,064	392,503	235,652
სულ მიმდინარე აქტივები		1,533,969	2,144,845	423,745
გრძელვადიანი აქტივები				
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		-	-	-
ძირითადი საშუალებები	7	4,585,133	2,915,995	2,542,437
არამატერიალური აქტივები	8	53,918	27,501	27,501
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,639,051	2,943,496	2,569,938
სულ აქტივები		6,173,020	5,088,341	2,993,683
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხი	0	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	9	902,845	2,484,449	1,079,937
მიმდინარე სავაჭრო სახადო ვალდებულებები	0	-	196,939	59,871
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	68,657	409,281	890,360
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		971,502	3,090,669	2,030,168
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი		657,697	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		657,697	-	-
სულ ვალდებულებები		1,629,199	3,090,669	2,030,168
საკუთარი კაპიტალი				
რეზერვი		-	-	-
სააქციო კაპიტალი		-	-	-
გაწაწილებელი მოგება/ზარალი		4,543,821	1,997,672	963,515
სულ საკუთარი კაპიტალი		4,543,821	1,997,672	963,515
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6,173,020	5,088,341	2,993,683

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 29 დეკემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ნატალია მახარობლიძე



თანდართული შენიშვნები მე-7 დან 19-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ელისი-2015

ფინანსური ანგარიშგებას აწარმოებენ ფინანსური წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(ლარი)**

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	11	10,265,457	4,786,871
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	12	(4,418,486)	(2,112,761)
საერთო მოგება		5,846,972	2,674,111
სხვა შემოსავალი	13	4,983	3,135
კომერციული დანახარჯები	14	(48,494)	(195)
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(3,278,628)	(1,597,493)
სხვა ხარჯები		-	-
დადებითი საკურსო სხვაობა		103	-
ფინანსური შემოსავალი		58,459	4,698
ურყოფითი საკურსო სხვაობა		(594)	-
ფინანსური დანახარჯები		(28,389)	(50,099)
მოგება დაბეგვრამდე		2,554,411	1,034,157
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		2,554,411	1,034,157
გაუწაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		-	-
დოვიდნდები		-	-
გაუწაწილებელი მოგება წლის ბოლოს		2,554,411	1,034,157

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 29 დეკემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ნატალია მახარობლიძე



თანდართული შენიშვნები მე-7 და 19-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ელისი-2015

ფინანსურ ანგარიშგებას ანგარიშგებოქლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(ლარი)

	საწყისი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	-	963,515	-	963,515
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მილიანი სრული შემოსავალი	-	1,034,157	-	1,034,157
დივიდენდის განაწილება	-	-	-	-
ნაშთი 1 იანვარი 2019	-	1,997,672	-	1,997,672
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მილიანი სრული შემოსავალი	-	2,554,411	-	2,554,411
დივიდენდის განაწილება	-	(8,262)	-	(8,262)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	-	4,543,821	-	4,543,821

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 29 დეკემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ნატალია მახაროზიძე



თანდართული შენიშვნები მე-7 დან 19-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

შპს ელბი-2015

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

	2019	2018
ფულადი ნაკადები ს ა კ ე რ ა ც ი ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი დ ა ნ : მედიცინებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სასხრები	12,127,110	5,573,793
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(7,726,089)	(3,933,947)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(738,246)	(299,999)
გადხდილი გადასახადი	(1,241,887)	(210,972)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები (საბანკო ხარჯები)	(39,857)	(8,221)
გადხდილი პროცენტები	(15,631)	(41,810)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	2,365,400	1,078,845
ფულადი ნაკადები ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი დ ა ნ : ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(2,176,254)	(356,650)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,176,254)	(356,650)
ფულადი ნაკადები ს ა ფ ი ნ ა ს ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი დ ა ნ : სესიების დაფარვა/აღება	-	-
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	94,479	(612,028)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	94,479	(612,028)
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	11,958	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	295,583	110,167
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისთვის:	-	-
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსთვის:	110,894	728
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსთვის:	406,477	110,894

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 29 დეკემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ნატალია მახარაშვილიძე

თანდართული უნოვნები მე-7 და 19-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშების გაწყვიფვლ ნაწილს.

შპს ელისი-2015

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „ელისი-2015“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2015 წლის 31 აგვისტოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ.ყაზბეგის გამზ., N 26, კორპ. 2, ბ. 4. კომპანია ახორციელებს საავტომობილო გზების მოვლა შენახვას და რეაბილიტაციას.

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი არის ფიზიკური პირი მარიამ გოგოლაძე პ/ნ 01024067714.

კომპანიის დირექტორები აღნიშნულ პერიოდში იყვნენ:

2019 წლის 12 აგვისტომდე - ლიკა მძელური პ/ნ 35001121126;

2019 წლის 12 აგვისტოდან - 2020 წლის 8 მაისამდე - მერი ლომიძე პ/ნ 57001014210;

2020 წლის 8 მაისიდან - ნატალია მახარაბლიძე პ/ნ 62001009203.

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფას-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის (იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში) და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფას-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.



შპს ელისი-2015

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა შედგება:

ამონაგები

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს სახელმწიფო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის გზის მოვლა შენახვა. კომპანია შესასრულებელ ვალდებულებას ასრულებს პერიოდულად და შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას ყოველთვიურად საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის წარდგენილი ფორმა-2-ის მიხედვით.

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის განსაზღვრული ტენდერის მიხედვით და შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის მისაწოდებელი საქონლის/მომსახურების საფასური განისაზღვრება კონკრეტული მიწოდების დროს წერილობითი ან ზეპირსიტყვიერი კონტრაქტის მიხედვით.

საქვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საქვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.



შპს ელისი-2015

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანია ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. 2019 წლის 31 დეკემბრის 1 იანვრის მდგომარეობით სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ფულად ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან.

მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის



შპს ელისი-2015

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისდები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სხვა შემოსავალი

გზების მოვლა-შენახვისა და რეაბილიტაციის და პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლებს აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სადარიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

თანამშრომელთა სარგებელი

დასაქმებულთა ანაზღაურების მოკლევადიანი ვალდებულება იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები

შპს ელისი-2015

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც ამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა;
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები;
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები;

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღიარდება სხვა ხარჯების მუხლში - „გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა“. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები



შპს ელისი-2015

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე.

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება მოიცავს: ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე; ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად; გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა
— (წელი)

5-8

ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა



შპს ელისი-2015

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ავტომანქანები	5-8
იჯარით აღებული ქონების კუთვლილობა	5
სამშენებლო მანქანა-დანადგარები	5-8
მცირეფასიანი ინვენტარი	5
ავეჯი	5
მსუბუქი ავტომობილები	5
შენობა-ნაგებობები	25

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალებების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.



შპს ელისი-2015

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარიში)

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულების, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაითვება შეძენის დანახარჯების განაგარიშებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს საწვავს და მიმდინარე სამუშაოებისათვის აუცილებელ სახარჯ მასალებს. კომპანიაში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალი



შპს ელისი-2015

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარიში)

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

როდესაც საწესდებო კაპიტალი იზრდება, ნებისმიერი სხვაობა საწესდებო კაპიტალის რეგისტრირებულ თანხასა და შეტანილი აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება, როგორც კაპიტალის ცალკე კომპონენტი - არაფულადი შენატანის საბაზრო ფასზე კორექტირების რეზერვი.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარ მოვლენებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

გაცვლითი საგალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:



შპს ელისი-2015

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარიში)

	2019	2018	2017
ნაღდი ფული სალაროში	3,131	1,150	436
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	403,345	33,372	290
ვალუტა ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე		76,372	2
სულ	406,477	110,894	728

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2019	2018	2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	537,680	1,614,753	187,315
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	230	230	
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	110,978	26,465	50
წინასწარ გადახდილი გადასახადი	147,540	-	
სულ	796,428	1,641,448	187,365

2019 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანიის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

მარაგები წარმოდგენილია:

	2019	2018	2017
სამშენებლო ნედლეული	331,064	392,503	235,652
სულ	331,064	392,503	235,652

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:



შპს ელისი-2015

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარიში)

ბიზნესი	შენიშვნა	მანგანა- დანადაგები	ოფისის აღწერა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მეორეხარისიანი ძირითადი	სულ
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერი	ნაგებობები	126,509	1,138,743	27,340	-	37,775	451
შემოსულის გაცემა	36,266	307,147	30,072				73
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	1,230,125	1,445,890	57,412	-	37,775	523	2,934,50
შემოსულის გაცემა	68,411	1,894,616	20,982	222,509		1,864	2,208,38
		(79,727)					(79,72
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	1,230,125	231,186	3,260,780	78,394	222,509	2,388	5,063,15
დაგროვილი ცვლილება	-	(2,749)	(13,563)	(2,144)	(50)		(18,50
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერი	-	(2,749)	(13,563)	(2,144)	(50)		(18,50
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვლილება	-	(5,929)	(420,768)	(12,559)	(19,767)	(495)	(459,51
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	-	(8,678)	(434,331)	(14,703)	(19,767)	(495)	(478,02
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვლილება	1,230,125	123,760	1,125,180	25,196	37,725	451	2,542,43
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	1,230,125	160,026	1,432,328	55,268	37,725	523	2,915,99
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	1,230,125	222,508	2,826,449	63,691	202,742	1,893	4,585,13

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება
თვითღირებულების მოდელი.

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია:

	2019	2018	2017
ბუფერი რესურსების მოპოვების ლიცენზია	51,820	27,501	27,501
პროგრამული უზრუნველყოფა	2,097	-	
სულ	53,918	27,501	27,501

9. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	2019	2018	2017
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმ. ვალდებულება	902,845	2,484,449	1,079,937
სულ	902,845	2,484,449	1,079,937

31.12.2019წ. მდგომარეობით, კომპანიის კრედიტორებს წარმოადგენს საქართველოს
რეზიდენტი კომპანიები.



შპს ელისი-2015

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2019	2018	2017
სხვა ვალდებულებები დამფუძნებლების წინაშე	-	378,970	890,360
გადახდელი ხელფასები თანამშრომლებზე	68,657	30,311	-
სულ	68,657	409,281	890,360

11. ამონაგები

2019 წელს, კომპანიის ამონაგები შედგება:

	2019	2018
გზებისა და ავტობანების მშენებლობა	10,265,457	4,786,871
სულ	10,265,457	4,786,871

12. რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება

კომპანიის 2019 წლის რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება შედგება:

	2019	2018
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	4,408,247	2,110,535
სხვა საწარმოო ხარჯი	10,239	2,226
სულ	4,418,486	2,112,761

13. სხვა შემოსავალი

კომპანიის 2019 წლის სხვა შემოსავალი შედგება:

	2019	2018
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	4,983	3,135
სულ	4,983	3,135



შპს ელისი-2015

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარიში)

14. კომერციული დანახარჯები

	2019	2018
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	31,419	195
მიწოდების სხვა ხარჯები	17,074	
სულ	48,494	195

15. ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის 2019 წლის ადმინისტრაციული დანახარჯი შედგება:

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	929,615	420,307
ტექნიკის იჯრა	77,502	181,161
საკანცელარიო ხარჯი	977	716
კომუნიკაციის ხარჯები	2,629	1,450
დაზღვევა	409,181	223,703
ქონების გადასახადი და სხვა საგადასახადო ხარჯი	22,728	8,609
წარმომადგენლობითი ხარჯი	9,908	17,927
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,826,090	743,620
სულ	3,278,628	1,597,493

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებოპერიოდისშემდეგადგლიარჰქონიაისეთმოვლენებს,
რომლებიცმოითხოვსგანმარტებითშენიშვნებს.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის
ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 29 დეკემბერს.

